ღრუბლები. მათი წარმოშობის, განვითარებისა და ზემოქმედების ასპექტები

გიორგი კაჭარავა

ელ-ფოსტა: giorgi.katcharava301@ens.tsu.edu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ი.ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, 0179, საქართველო

ნაშრომში განხილულია სიტუაციები ღრუბლების წარმოქმნის შესახებ, წარმოდგენილია ანალიზი მათ ჩამოყალიბებაზე, განვითარებასა და კლასიფიკაციაზე და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია განხილულია ღრუბლებზე ზემოქმედების გზები. ღრუბლები განსაზღვრავენ ამინდის რეჟიმს და მისი ცვლილების ხასიათს, რის გამოც ისინი წარმოადგენენ ერთ-ერთ მნიშვნელოვან კლიმატწარმომქმნელ ფაქტორს დედამიწის ზედაპირზე.

ღრუბლების სახელწოდებაში ხშირად გვხვდება სიტყვა ან წინსართი, რაც მათ შინაგან აგებულებაზე მეტყველებს. მაგალითად, წინსართი Strato მიანიშნებს ბრტყელ, ფენისებრ ღრუბლებზე; Cumulo აღნიშნავს ღრუბლებს, რომლებიც კოშკების მსგავსად წაგრძელებულია ვერტიკალურად, ხოლო nimbus ისეთ ღრუბლებს განეკუთვნება, რომლებიც ნალექებს იძლევა და სხვ.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია გროვა წვიმის ღრუბელზე (cumulonimbus), ვინაიდან ამ ღრუბლებს შეუძლიათ დაიკავონ სამივე იარუსი ერთდროულად. ისინი განსაკუთრებულად საშიშია იმიტომ, რომ ამ ტიპის ღრუბლებიდან შესაძლებელია სეტყვის წარმოქმნა, რომელიც ანადგურებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, ინფრასტრუქტურას და სოციალურ-ეკონომიკურ ჭრილში ზიანს აყენებს მოსახლეობას. ნაშრომში განხილულია სეტყვის პრევენციის მეთოდები, ხერხები, სეტყვის წარმომქმნელი საშიში ღრუბლების კატეგორიები და წარმოდგენილია მათთან გამკვლავების გზები.